ელექტრონული ბიბლიოთეკა





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 31 (3008)

1966 წ. 13 კვირა, თებერვალი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი





## „თეთრი სპარტაკიადის" დღეები

საქართველოს ზამთრის II სპარტაკიადის დღეებში „დინამოს" საციგურაოზე, იაგორას ველზე, კოხტაგორასა და პიწკალოს ფერდობზე დილიდანვე ეწყობოდა საინტერესო ასპარეზობანი ჰოკეიში, სათხილამურო რბენაში, სლალომსა და სწრაფდაშვებაში, ტრამპლინიდან ხტომაში...

მაგრამ საღამოობითაც მეტისმეტად ლამაზი იყო ბაკურიანის მიდამოები. განსაკუთრებით წარმტაცი იყო ბუნება დაისისას, როცა ჩამავალი მზე უკანასკნელ სხივებს აფრქვევდა თეთრად გაქათქათებულ არემარეს.

ეს სურათები საქართველოს „თეთრი სპარტაკიადის" დღეების მხოლოდ რამდენიმე მომენტზე მოგითხრობთ. ზევით მარჯვნივ — ვაჟთა სლალომის ტრასაზეა სპარტაკიადის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი გ. აბრამიშვილი (თბილისი, „დინამო"); მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ 10 კილომეტრზე რბენაში მოასპარეზე ჭაბუკებს; ქვევით მარცხნივ — ოსტატობის კანდიდატი ა. ჯეირანაშვილი (თბილისი, „კოლმეურნე") ვაჟთა გიგანტურ სლალომში ასპარეზობისას; მარჯვნივ — მზის ჩასვლის წინ...

ფოტო ო. გელაშვილისა.

## სამუშაო პოსტებზე

### 130 პროცენტით!

აბაშის მექანიკური ქარხნის პარტბიურო და დირექცია დიდ ყურადღებას აქცევენ საწარმოს ახალგაზრდებში სპორტულ მუშაობას. პარტბიუროს სხდომაზე სისტემატურად იხილავენ ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობისადმი მიძღვნილ საკითხებს. აქ ნაყოფიერად მეცადინეობენ კალათბურთის, ფრენბურთისა და ჭადრაკის სექციები.

წინასაყრილობო შრომით ვახტზე მდგარი სპორტსმენები თავდადებით იბრძვიან პროდუქციის მაღალი ხარისხისთვის, მომჭირნეობისთვის. ახალგაზრდა მექანიკოსებმა აითვისეს ავტომანქანა „ზილ-164"-ის წინა ღერძის გამოშვება. სპორტსმენები ი. ბარათელი, დ. კუცია და სხვები ყოველდღიურ დავალებებს 130 პროცენტით ასრულებენ.

სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად ახალგაზრდა მექანიკოსებმა ივალდებულეს I კვარტალის საწარმოო დავალების გადაჭარბებით განაღდება.

ი. თოფურია.

აბაშა.

**16 თებერვალს**

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (ჭავჭავაძის პრ. № 49) მოწვეულია

საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს VI პლენუმი.

პლენუმის დასაწყისი 12 ს.

აას-ი და საკდესი მოგვითხრობენ

## ჩვენს ქვეყანაში და უცხოეთში

### ურალური „თეთრი ფიფქი"

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადას სვერდლოვსკი — ამ დიდი ასპარეზობის მასპინძელი — ახალი შესანიშნავი საჩუქრით ხვდება: აქ მწყობრში ჩადგა ურალში ხელოვნური ყინულის საფარიანი პირველი დახურული საციგურაო.

სვერდლოვსკში ყინულის სასახლე სარეკორდოდ მოკლე დროში აიგო — ნახევარი წლის განმავლობაში. საციგურაოს მოედანი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს — მისი ფართია 1830 კვადრატული მეტრი. სპეციალურ სამქროში დადგმულია მძლავრი კომპრესორები — 600 ათასი კალორია საათში. დახურული სტადიონის ტრიბუნები დაიტევს 3 ათასამდე მაყურებელს. ახლო მომავალში სპორტის სასახლის გარშემო მოეწყობა ყინულის გადახურული ბილიკი. საციგურაოს სპორტულ კომპლექსშია მძლეოსნური მანეჟიც.

ახალი საციგურაოს (მას „თოვლის ფიფქი" უწოდეს) საზეიმო გახსნის დღეს გაიმართა სადღესასწაულო აღლუმი, ნორჩი ფიგურისტების საჩვენებელი გამოსვლები და ჰოკეისტთა 2 ამხანაგური მატჩი. ამჟამად მოსკოველების, კიეველებისა და გორკელების შემდეგ სვერდლოვსკელ ფიგურისტებსა და ჰოკეისტებსაც მიეცათ სრულწლიური წვრთნის საშუალება.




### ჩემპიონები

ტურინი, 12 თებერვალი. უნივერსიადა დასასრულს უახლოვდება. ხვალ სესტრიერში ჩატარდება დასკვნითი შეჯიბრება გიგანტურ სლალომში, საღამოს კი გაიმართება მსოფლიოს სტუდენტ-სპორტსმენთა ფორუმის დახურვის ცერემონიალი.

...წარმტაც სანახაობას წარმოადგენდა ასპარეზობა ციგურებით ფიგურულ სრიალში. წყვილთა ტურნირში კარგად გამოვიდნენ მოსკოველები ტ. ტარასოვა და გ. პროსკურინი, რომლებმაც მოიხვეჭეს ოქროს მედლები. II ადგილზე გავიდნენ ა. ვლახოვსკა და პ. ბარტომევიჩი (ჩეხოსლოვაკია), მესამეზე — ლენინგრადელები თ. მოსკვინა და ა. მიშინი.

ქალთა შეჯიბრებაში ყველას აჯობეს იაპონელებმა: I ადგილი დაიკავა მ. ფუკუხარამ, ხოლო II — კ. ოკავამ. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ა. ავგუსტოვამ (ჩეხოსლოვაკია). IV ადგილზეა თ. მოსკვინა.

ჰოკეისტთა ტურნირში ჩეხოსლოვაკიის სტუდენტთა ნაკრებმა იოლად მოუგო მასპინძლებს—იტალიელებს—8:0.

### წოდებები — ღირსეულთ

მოსკოვი, 12 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა: კლასიკურ ჭიდაობაში — ლ. ძეკონსკის (თბილისის „განთიადი"); ხელბურთში — გ. შარაშიძეს (თბილისის „ბურევესტნიკი").

### ახალგაზრდა მოსკოველის ნადავლი

ტერსკოლი, 11 თებერვალი. ჩეგეტის ფერდობებზე 6 დღე მიმდინარეობდა რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის მონაწილეთა ფინალური შეჯიბრებები სამთო-სათხილამურო სპორტში.

ოქროს 3 და ვერცხლის 1 მედალი წაიღო ტერსკოლიდან ახალგაზრდა მოსკოველმა ნ. მერკულოვამ, რომელმაც I ადგილები დაიკავა სპეციალურ სლალომსა და სლალომ-გიგანტში და II — სწრაფდაშვებაში. იგი გახდა სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი.

ვაჟებში ეს საპატიო წოდება მოიხვეჭა კიროველმა ვ. მელნიკოვმა. II ადგილზეა საბჭოთა სამთო-სათხილამურო სპორტის ვეტერანი, მოსკოველი ა. ფილატოვი, რომელმაც გაიმარჯვა სწრაფდაშვებასა და სლალომ-გიგანტში.

### ძველი ქალაქის სპორტული ახალშენებლობა

ნოვგოროდი, 11 თებერვალი. ამ ძველი ქალაქის არქიტექტურულ ანსამბლში მოხდენილად „ჩაჯდა" ახალი სპორტული კომპლექსი — ნოვგოროდის ცენტრში აშენდა სპორტის სასახლე, სადაც ერთდროულად შეუძლიათ მეცადინეობა მძლეოსნებს, ფრენბურთელებს, მოცურავეებსა და წყალში მხტომელებს. კომპლექსი შედგება 42 × 18 მ ფართის დარბაზისა და 25-მეტრიანი საცურაო აუზისგან, რომელსაც 6 ბილიკი აქვს. წყალში მხტომელთათვის მოწყობილია ტრამპლინი და კოშკურა.

ტრიბუნები გათვალისწინებულია 500 მაყურებელზე. აქ გამართული საჩვენებელი გამოსვლების პირველ მაყურებლად იყვნენ მშენებლებიც, რომლებმაც ესოდენ ძვირფასი საჩუქარი უძღვნეს სპორტსმენებს.

### საკოლმეურნეო ტბის საერთაშორისო „რანგი"

ხმელნიცკი, 11 თებერვალი. ხმელნიცკის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნარის" გამგეობამ გადაწყვიტა სოფელ რუჟიჩნაიას ტბის გაღრმავება და კეთილმოწყობა და საამისოდ გამოყო 100 ათასი მანეთი.

ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევია არა მარტო მეტისმეტად სარფიანი თევზსარეწი მეურნეობის გაფართოებაზე ზრუნვით. საქმე ის არის, რომ საკოლმეურნეო ტბას შარშან ახალი „პროფესია" გამოუჩნდა: იგი გახდა დიდი სპორტული შეჯიბრებების აკვატორიუმი. წარსულ ზაფხულში აქ გაიმართა რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებები ბაიდარებსა და კანოეთი ნიჩბოსნობაში. სპორტსმენებმა და სპეციალისტებმა ძალიან მოიწონეს ეს ახალი საწყლოსნო „სტადიონი", ამიტომ ტბა ახლა „ამაღლებულია რანგში" — სპორტის ისტორიაში პირველად საკოლმეურნეო ტბაზე გადაწყდა სპორტის ამ სახეობაში საერთაშორისო ასპარეზობის გამართვა.

სექტემბრის დასაწყისში სოფელ რუჟიჩნაიაში ჩამოვლენ ჩვენი საუკეთესო ნიჩბოსნები და სპორტსაზოგადოებათა ოლიმპიური გუნდები. მათ შეუერთდებიან სოციალისტურ სახელმწიფოების სპორტსმენები. აქ ასპარეზობის სურვილი გამოთქვეს აგრეთვე დანიის, შვეციის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის ნიჩბოსნებმა.

გაყინული ტბის დათოვლილ ნაპირებზე გამოჩდნენ პირველი მშენებლები. მათ დიდი შრომა მოუწევთ ტბის გასაღრმავებლად და მისი ნაპირების კეთილმოსაწყობად, ტრიბუნების, ელინგებისა და სასტუმროს ასაგებად.

ბევრი საქმე აქვთ ადგილობრივ სპორტსმენებსაც. მათ წილად ხვდათ „კოლგოსპნიკის" ღირსების დაცვა რესპუბლიკურ რეგატაში, რომელიც აგრეთვე აქ გაიმართება.

# მთავარია პირველხარისხოვანი ბაზები



კ. წაქაძე.

ბაკურიანელი „მფრინავი მოთხილამურე“ კ. წაქაძე ევროპის ტურნეს შემდეგ რამდენიმე დღით ეწვია მშობლიურ დაბას. ამ შემთხვევით ისარგებლა ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა საქართველოს ზამთრის II სპარტაკიადაზე ო. ველაშვილმა და საუბარი ჰქონდა მასთან.

● კმაყოფილი ხართ თუ არა ევროპის ტურნეს შედეგებით?

— თუ ჩემს წინანდელ გამოსვლებს შევადარებ წლევანდელს, რა თქმა უნდა, სრული საფუძველი მაქვს უკმაყოფილო ვიყო. მაგრამ, ასე ვთქვათ, ბედს მაინც არ ვემდური, ვინაიდან სწორედ იქაური მაჩვენებლების მეოხებით სსრ კავშირის ვეტერანთა შორის ერთადერთს მე მხვდა წილად მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური.

● მიიღებთ თუ არა მონაწილეობას საქართველოს სპარტაკიადაში?

— სამწუხაროდ, არა. დღეს მივემგზავრები მოსკოვს, სადაც უნდა შევუერთდე ჩვენი ქვეყნის ნაკრებს, რომელიც ჰოლმენკოლენში (ნორვეგია) იბრძოლებს ოქროს მედლებისთვის.

● რა წარმატების იმედი გაქვთ ნორვეგიაში?

— მე ძალიან მიყვარს გამოთქმა: „ის ჯარისკაცი ჯარისკაცად არ ვარგა, ვინც გენერლობაზე არ ფიქრობს“. რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონობაზე უარს არ ვიტყოდი, იქნებ კიდეც შევწვდე ოქროს მედალს, თუ საქმეში არ ჩაერია ჩემი ქრონიკული „დაავადება“ — დავარდნა! ისე კი, კმაყოფილი ვიქნები, თუ ჩემს კოლექტივს მივცემ იმას, რასაც ჩემგან მოელიან.

● როგორია ჩვენი მხტომელების პერსპექტივები მსოფლიო ჩემპიონატში?

— პერსპექტივებზე საუბარი, ჩვეულებისამებრ, მწვრთნელთა საქმეა. ოპტიმისტი ვარ და მგონია, ძირითადად ახალგაზრდობის ხარჯზე ჩვენმა გუნდმა უკეთესი მაჩვენებლები უნდა მოიპოვოს, ვიდრე ოდესმე.

● როგორია თქვენი სამერმისო გეგმები?

— გამოგიტყდებით: წლევანდელ სეზონში ჩემს მთავარ მიზანს შეადგენდა არა ჰოლმენკოლენის საგზური, არამედ წარმატებით გამოსვლა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადაში. ამიტომაც მთელი მოსამზადებელი პერიოდი სწორედ ამ ამოცანის განხორციელებას მოვანდომე. ნორვეგიაში წასვლამ გრაფიკი ძალაუნებურად შემაცვლევინა, მაგრამ რას იზამ: სპორტსმენი ვარ და ყველგან მთელის ძალით ვიბრძოლებ.

● რას იტყვით საქართველოს მხტომელთა მომავალზე?

— ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს ბაკურიანში, მესტიაში, ამბროლაურში და სხვაგან. მაგრამ არ გვაქვს პირველხარისხოვანი ტრამპლინები, სადაც მათი ოსტატობა დაიხვეწებოდა. ამ ხარვეზების აღმოუფხვრელად ძნელია უმაღლესი კლასის ოსტატთა აღზრდა.

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით წარმატება ვუსურვო საქართველოს ზამთრის II სპარტაკიადის მონაწილეებს.

სპარტაკიადის დამთავრების დღეს მოსკოვიდან მოვიდა კ. წაქაძის დეპეშა. იგი საქართველოს სპარტაკიადის მონაწილეებს ულოცავს მაღალ შედეგებს. „განსაკუთრებით გამახარა ბაკურიანის საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელის ი. ნასყიდაშვილის წარმატებამ. ვულოცავ ჭაბუკებში გამარჯვებას, ოსტატობის კანდიდატის ნორმის შესრულებას და ვუსურვებ შემდგომ წინსვლას“.

# ვეტერანის რჩევა

რედაქციაში შემოვიდა წერილი სოფელ წითელი ვარსკვლავიდან (წულუკიძის რაიონი). მას ავტორთა საკმაოდ დიდი ჯგუფი აწერს ხელს (17 ჭაბუკი) გუნდის კაპიტნის მ. სულაბერიძის მეთაურობით.

წერილის შინაარსი ასეთია: „ჩვენი ქუჩის ბიჭები ბევრჯერ შევკრებილვართ და გვითათბირია შეკითხვით მივმართოთ რედაქციისთვის.

წაკითხული გვაქვს პელეს და სანტოსის წიგნები, სადაც აღწერილია, თუ როგორ კრებდნენ ისინი თანატოლ ბიჭებს, როგორ შოულობდნენ ბურთს და თამაშობდნენ ფეხბურთს.

ჩვენც გვინდა შევადგინოთ გუნდი და ვითამაშოთ ბურთი. იქნებ ჩვენი რიგებიდანაც გამოვიდნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორც მეტრეველი, მესხი, ხურცილავა.

პატივცემულო რედაქციავ, გვირჩიეთ რამე!“

რედაქციამ კონსულტაციისთვის მიმართა ქართული ფეხბურთის ცნობილ ვეტერანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გ. გაგუას, რომელიც წლების მანძილზე მუშაობს ბავშვებთან. აი, ვეტერანის პასუხი:

„ძვირფასო ბავშვებო!

პირველი და უმთავრესი, რაც საჭიროა ფეხბურთის კარგად თამაშისთვის ეს ისაა, რომ უნდა გიყვარდეთ ბურთი. დროის უბრალო მოსაკლავად კი არა, არამედ ნამდვილი, გულწრფელი და ერთგული სიყვარულით.

დაიწყეთ ასე: შეარჩიეთ შესაფერისი მინდორი, კარგად გაასუფთავეთ, მოაწყეთ იგი როგორც საჭიროა, საკუთარი ძალებით გააკეთეთ შემოსატარებელი დგარები, თუ შეგიძლიათ, ფიცრის კედელი.

შემდეგ იყიდეთ ბურთები. არა ბურთი, არამედ ბურთები, ვინაიდან მათს რაოდენობაზე დიდადაა დამოკიდებული თქვენი ვარჯიშის ნაყოფიერება და ხარისხი. იშოვნეთ ერთნაირი ფორმა. ასე ვიქცეოდით ჩვენც ბავშვობაში და მენდეთ, მაშინ გაცილებით უფრო ძნელი იყო ბურთებისა და ფორმის შოვნა, ვიდრე ახლა.

გუნდის შედგენისას, პირველ ყოვლისა, შეარჩიეთ ორი ცენტრალური თავდამსხმელი, ორი ცენტრალური მცველი და მეკარე. ეს უნდა იყოს თქვენი კოლექტივის ბირთვი, ფიზიკურად ყველაზე განვითარებული, კარგი მოთამაშეები. დანარჩენი ადგილები შეივსება შეძლებისდაგვარად.

ყოველ დილით შეასრულეთ ფიზვარჯიში და თუ გაქვთ ამის საშუალება, ივარჯიშეთ ბურთით. საერთოდ, ერთობლივ მეცადინეობათა გარდა, ეცადეთ ივარჯიშოთ დამოუკიდებლადაც, როცა გექნებათ საამისო საშუალება. ბურთით კენწლაობა, თავით თამაში, ზუსტი გადაცემები, ბურთის მიღება, გაჩერება, სხვადასხვა სახის დარტყმები შეასრულეთ რაც შეიძლება დიდი რაოდენობით, ხშირად.

როცა საქმე დაიძვრება ადგილიდან, თქვენს ჯგუფს შეუერთდებიან ახალი წევრებიც. მაშინ ჩამოაყალიბეთ ორი გუნდი, ჩაატარეთ ორკარში თამაშები და მოთამაშეთა სიძლიერის მიხედვით დააკომპლექტეთ I და II ნაკრები გუნდები, დაარქვით მათ ლამაზი, ქართული სახელები.

არ შეიძლება ამასობაში არ გამოჩნდეს სოფელში ვინმე ისეთი, რომელიც დაინტერესდება ნორჩი ფეხბურთელებით და აიღებს მათზე შეფობას. შეიძლება ეს იყოს სკოლის მასწავლებელი, ან ძველი ფეხბურთელი. იგი გაგიწევთ საერთო ხელმძღვანელობას და დაგეხმარებათ ბევრ რამეში. შემდეგ გექნებათ ამხანაგური შეხვედრები მეზობელი უბნის ან ახლომდებარე სოფლების გუნდებთან.

არ დაივიწყოთ ერთი წესი: ვინც ცუდად ისწავლის და ჩამორჩება, არ გააკაროთ ბურთს, სანამ არ გამოასწორებს ნიშნებს. ჩვენთან, მაგალითად, თბილისის ნორჩ დინამოელთა კოლექტივში, ზარმაცებს და ცუდად მოსწავლეებს ადგილი არა აქვთ. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ სწავლაში ჩამორჩენილი ბურთსაც ცუდად თამაშობს.

აი, ასე, ბავშვებო. გისურვებთ წარმატებას! გულისყურით მოეკიდეთ საქმეს. იმეგობრეთ ბურთთან. ფეხბურთს ზარმაცები არ უყვარს.

თქვენი გრიგოლ გაგუა“.

# 20 ათასზე მეტი

ჰაერში უკვე იგრძნობა გაზაფხულის სურნელება. საქართველოში იწურება ზამთრის ტურისტული სეზონი. მუდამ ხალხმრავლობაა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გაგრისა და რესპუბლიკის სხვა ტურისტულ ბაზებზე. წლეულს ზამთარში პირველი ტურისტები მიიღო ახალი ათონის ბაზამ. აქ აიგო კეთილმოწყობილი 4-სართულიანი საძინებელი კორპუსი, რომელიც 200-მდე კაცს იტევს.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ათასობით დამსვენებელი მოგზაურობს ტურისტული მარშრუტებით „ამიერკავკასია“, „საქართველო“, „საქართველო და სომხეთი“, „შავი ზღვის სანაპირო“, „აფხაზეთი“.

ტურისტული მარშრუტი „საქართველო“ მოიცავს თბილისს, ქუთაისსა და ბათუმს. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მიღწევებთან ერთად ტურისტები ეცნობიან ჩვენს მრავალფეროვან ბუნებას, ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანეს ძეგლებს, სათაფლიის გამოქვაბულს, სახელგანთქმულ კურორტ წყალტუბოს.

„შავი ზღვის სანაპიროს“ მარშრუტით მოგზაურნი დაათვალიერებენ აფხაზეთის მდიდარ სუბტროპიკულ ბუნებას, მოინახულებენ სოხუმს, ახალ ათონს, გაგრას, ხოსტასა და სოჭს.

10 დღეს დაისვენებენ გაგრასა და სოხუმში ტურისტები „აფხაზეთის“ მარშრუტით.

იწურება ზამთრის ტურისტული სეზონი, რომელიც თავის „მასპინძლობის დავთარში“ 20 ათასზე მეტ ტურისტს ჩაიწერს.

# სპარტაკიადის პროგრამით

დამთავრდა ლანჩხუთის რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ხელბურთში, მძლეოსნობასა და სპორტულ ტანვარჯიშში.

ხელბურთელ ჭაბუკთა ასპარეზობაში ყველას აჯობა ლანჩხუთის მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა. მძლეოსნობაში ჭაბუკები სამ ასაკობრივ ჯგუფში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. უმცროს ასაკში გაიმარჯვეს 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, საშუალო ასაკში — ნიგოითის საშუალო სკოლის ნორჩებმა, ხოლო უფროს ასაკში — ადგილობრივი მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა.

ასეთივე სისტემით ჩატარდა შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში. უმცროს ასაკობრივ ჯგუფში გაიმარჯვეს 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, ხოლო საშუალო და უფროს ასაკში — მე-2 საშუალო სკოლის ტანმოვარჯიშეებმა.

ი. ებრალიძე.

ლანჩხუთი.



თიანეთის რაიონში კარგი ამინდები დგას და ფიზკულტურელებიც ღია ცის ქვეშ ვარჯიშობენ.

ს უ რ ა თ ზ ე: სოფელ ლულელების საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. სიმონიშვილი ავარჯიშებს მძლეოსან გოგონებს.

ფოტო ა. მინასიანისა.

## ტელეგრამით სტრიქონით

### ზუგდიდი

საჭადრაკო კლუბში დამთავრდა ქალაქის ნორჩ მოჭადრაკეთა ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდნენ 6 საშუალო სკოლის წარმომადგენლები. ჭაბუკებში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა თ. ცერცვაძემ (1-ლი საშუალო სკოლა), ხოლო გოგონებში — ა. ბაძაღუამ (მე-10 საშუალო სკოლა). 6-მა მონაწილემ შეასრულა II, ხოლო ცხრამ — III თანრიგის ნორმატივი.

გ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

### რუსთავი

სინთეზური ბოჭკოს ქარხანაში გაიმართა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა. საერთო გუნდური პირველობა მოიპოვეს საკონტროლო-საზომ ხელსაწყოებისა და ავტომატიკის საამქროს სპორტსმენებმა.

რ. გაბრიჟიძე.
(ჩვენი კორ.).

# უცხოეთი

## იტალიის მოცურავეთა ტრაგედია

ასე ასათაურებენ იტალიური გაზეთები თავიანთ ფურცლებზე სამგლოვიარო ჩარჩოებში ჩასმულ პორტრეტებსა და მასალებს. ბრემენის აეროდრომიდან 200 მეტრის დაშორებით დასავლეთგერმანული ავიაკომპანია „ლიუფტჰანზის“ თვითმფრინავი უეცრად ცხვირით დაეშვა, დაკარგა წონასწორობა და მიწას დაენარცხა. ამ ამბის დამსწრენი ამბობენ, რომ „იგი ყუმბარასავით გასკდა“.

თავისთავად ცხადია, რომ როცა შემთხვევის ადგილზე მივიდნენ მაშველთა გუნდები, მათ ნახეს მხოლოდ ცხედრები 42 მგზავრის და ეკიპაჟის 4 წევრისა. „ლიუფტჰანზის“ დირექცია რამდენიმე დღე არ იტყობინებოდა დაღუპულთა გვარებს. როცა გვარები გამოაცხადეს, გამოირკვა, რომ მგზავრთა შორის იყო 7 ნიჭიერი იტალიელი მოცურავე: ტოკიოს ოლიმპიადის მონაწილეები — 23 წლის ბრუნო ბიანჩი, 20 წლის სერჯიო დე გრიგორიო, ევროპის ექს-რეკორდსმენი 100 მ ზურგზე ცურვაში, 21 წლის ჯიაფრედო რორა, აგრეთვე 20 წლის ამედია ჩამისო, 20 წლის ლუჩიანა მასჩენცი, 19 წლის კარმენ ლოგო, 18 წლის დანიელა სამუელე. მათთან ერთად დაიღუპა ცნობილი იტალიელი მწვრთნელი კოსტოლი. იტალიის დელეგაცია მიემგზავრებოდა მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე.

იტალიური პრესა აქვეყნებს ცნობას სპორტსმენთა დაღუპვის თაობაზე და აღნიშნავს, რომ ომისშემდგომ წლებში ათლეტები არაერთხელ ყოფილან დასავლეთის ავიახაზებზე გახშირებული კატასტროფების მსხვერპლი. 1949 წლის 4 მაისს ტურინთან დაიმსხვრა თვითმფრინავი, რომელშიც იმყოფებოდა ცნობილი გუნდი „აკ ტურინო“. დაიღუპა 14 იტალიელი და 1 ფრანგი ფეხბურთელი. იმავე წლის 28 ოქტომბერს აზორის კუნძულების თავზე დაიღუპა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი პროფესიონალთა შორის, სახელგანთქმული ფრანგი მოკრივე მარსელ სერდანი, რომელიც შეერთებულ შტატებში მიემგზავრებოდა მსოფლიო ჩემპიონ ჯეკ ლამოტასთან მატჩ-რევანშის ჩასატარებლად. სერდანთან ერთად ამერიკაში მიემგზავრებოდნენ მისი მწვრთნელი და მენაჯერი. 1950 წლის 15 სექტემბერს 15 ბრაზილიელი მძლეოსანი დაიღუპა ფორტალეცასთან (ბრაზილია) თვითმფრინავის ჩამოვარდნის გამო. 1958 წლის 6 თებერვალს მიუნჰენის მახლობლად დაიმსხვრა თვითმფრინავი. მსხვერპლთა შორის იყო ინგლისის უძლიერესი გუნდის „მანჩესტერ იუნაიტედის“ 8 ფეხბურთელი. ესპანეთის ტანვარჯიშის ვარსკვლავი ჰოაკიმ ბლუმე, რომელსაც ოქროს მედალს უწინასწარმეტყველებდნენ 1960 წლის რომის ოლიმპიურ თამაშებში, 1959 წლის 29 აპრილს დაიღუპა ბარსელონასა და მადრიდს შორის მომხდარი საავიაციო მარცხის დროს. 1960 წლის 16 ივლისს დანიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდის 8 წევრი კოპენჰაგენში მომხდარი ავიაკატასტროფის მსხვერპლთა შორის აღმოჩნდა. 1961 წლის 15 თებერვალს ბრიუსელის მახლობლად დაიღუპა ამერიკის ფიგურულ მოციგურავეთა მთელი გუნდი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე მიემგზავრებოდა პრაღაში.

ბრემენის კატასტროფაც ამ ტრაგიკულ სიაში შევიდა.

## „აჟანყება კორტინა დ'ამპეცოში“

ამ სათაურით გამოაქვეყნა წერილი ავსტრიულმა გაზეთმა „ფოლკსშტიმემ“. საქმე ის არის, რომ კორტინა დ'ამპეცოში უნდა ჩატარებულიყო დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელსაც აწყობდა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია. და აი, მოულოდნელი სკანდალი.




# ახალი სეზონის წინ

საქართველოს საფეხბურთო გუნდების, მათი მწვრთნელების, ხელმძღვანელების, მთელი სპორტული საზოგადოებრიობის წინაშე წლეულს უაღრესად სერიოზული ამოცანებია დასახული. 1966 წლის საკავშირო ჩემპიონატში ოსტატთა შორის ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობას მიიღებს 11 კოლექტივი. მათ შორის თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ გამოვლენ „ა“ კლასის I ჯგუფში, თბილისის „ლოკომოტივი“ და ბათუმის „დინამო“ — „ა“ კლასის II ჯგუფში, ხოლო „ბ“ კლასში ითამაშებს 7 კოლექტივი: „დინამო“ (სოხუმი), „კოლხიდა“ (ფოთი), „მეშახტე“ (ტყიბული), „ენგური“ (ზუგდიდი), „ალაზანი“ (გურჯაანი), „მეტალურგი“ (რუსთავი) და „დილა“ (გორი).

ასეთი მასშტაბის წარმომადგენლობა საკავშირო ასპარეზზე თვითეული კოლექტივისგან მოითხოვს უბადლოდ გამართულ სასწავლო-საწვრთნელ და აღმზრდელობით მუშაობას. თამაშის ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფა, მოთამაშეთა ფიზიკური მომზადების გაუმჯობესება ჯერ კიდევ არა დგას სათანადო სიმაღლეზე, ამიტომ მწვრთნელებს საგანგებო ყურადღების გამახვილება მართებთ, რათა შარშანდელი შეცდომები და ჩავარდნები არ გამეორდეს. ჩვენი გუნდების უმეტესობა სასწავლო პროცესს ატარებს უხარისხო მინდვრებზე, სადაც არ არის საჭირო ინვენტარი და მოწყობილობა. გარდა ამისა, სათანადო ყურადღება არ ექცევა მოთამაშეებთან ინდივიდუალურ მუშაობას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ფეხბურთელის საერთო კლასის ზრდა.

კიდევ და კიდევ გვიხდება ლაპარაკი იმ სიძნელეებზე, რომლებსაც ვხვდებით რეზერვების აღზრდაში. ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფები ჯერ კიდევ ვერ მუშაობენ ისე, რომ უზრუნველჰყონ მაღალი ხარისხის შემცვლელი თაობის აღზრდა, სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ხელმძღვანელები კი სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ იმ პირთა მიმართ, ვისაც ბავშვებში საქმიანობა აკისრია.

ბევრჯერ ითქვა, რომ სასწავლო-საწვრთნელ და აღმზრდელობით მუშაობაში არსებული შეცდომები პირდაპირი შედეგია იმისა, რომ ჩვენი მწვრთნელების ერთი ნაწილი არ ზრუნავს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ძველი მარაგით კი შორს ვერ წახვალ. ფეხბურთელთა წვრთნა წარმოადგენს შემოქმედებით პროცესს, სადაც შაბლონი თავს ვერ გაიტანს. ჩვენ გვჭირდება ყოველმხრივ განსწავლული, ერუდირებული მწვრთნელები, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ ქართული ფეხბურთის წინსვლაში.

წინამდებარე სეზონში საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს „ბ“ კლასების კოლექტივებს, რომლებიც უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის მოთამაშეთა აღზრდის სამჭედლოდ უნდა იქცნენ. დასამალი არაა, რომ ჩვენი საერთო საქმიანობის ამ რგოლში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია და მწვრთნელთა ჩივილი, რომ მათ არა ჰყავთ საკმაო კვალიფიკაციის მოთამაშეები, მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას. ვინ, თუ არა თვით ამ მწვრთნელებმა და ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებმა უნდა მოამზადონ ის კადრები, რომელთა ნაკლებობაზეც წუწუნებენ ისინი. თუ სათანადო სიმაღლეზე ავიყვანთ ბავშვთა შორის მუშაობას, ვიზრუნებთ ახალგაზრდა ფეხბურთელთა დაოსტატებაზე, ეს დეფიციტი სულ მალე შეივსება.

ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველოში არ არიან პერსპექტიული მოთამაშეები, ყოვლად გაუმართლებელია. რესპუბლიკის პირველობაში მონაწილე გუნდების მწვრთნელები ხშირად ეწინააღმდეგებიან თავიანთი მოთამაშეების გადაყვანას „ბ“ კლასის კოლექტივებში, რითაც არღვევენ სპორტსმენის წინსვლისა და ზრდის ელემენტარულ პრინციპს. პირადი ინტერესები და ე. წ. „ქულების ავადმყოფობა“ ჯერ კიდევ იმდენადაა გამჯდარი ჩვენში, რომ საგრძნობლად უშლის ხელს ფეხბურთის საერთო წინსვლას. ყოველი მოთამაშის დაწინაურება, პირველ ყოვლისა, მწვრთნელის დიდი დამსახურებაა. თუ მასობრივმა ფეხბურთმა კადრები არ მისცა მაღალი კატეგორიის გუნდებს, ჩამორჩენას თავს ვერ დავაღწევთ.

ჩვენი აზრით, საჭიროა ყოველი სეზონის შემდეგ მოვაწყოთ ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელთა ტრადიციული ტურნირები, რათა შევარჩიოთ მოთამაშეები წამყვანი გუნდებისთვის. ასეთი შეჯიბრება ჩატარდა შარშან. რესპუბლიკურმა სპორტკავშირმა და ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტეს ჩაატარონ თბილისში „ბ“ კლასის გუნდების ტურნირი შ. შავგულიძის სახელობის თასზე (19-26 მარტი). მონაწილენი დაიყოფიან ორ ქვეჯგუფად, სადაც თამაშები იწარმოებს წრიული სისტემით. ქვეჯგუფებში I ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთში გაითამაშებენ თასს. ამავე პრინციპით იასპარეზებენ დანარჩენი ადგილების პრეტენდენტებიც.

დამტკიცდა საქართველოს 1966 წლის ჩემპიონატის დებულება (გათამაშება იწყება 20 მარტს და გაგრძელდება ნოემბრამდე). I ჯგუფის გუნდები დაყოფილი არიან ორ ქვეჯგუფად. I ქვეჯგუფში გამოვა ორ ზონად დაყოფილი 24 გუნდი.

I ზონა: „თოლია“ (თბილისი), „მესხეთი“ (ახალციხე), „სინათლე“ (თბილისი), „მეტალურგი“ (ზესტაფონი), „განთიადი“ (ბორჯომი), „სამეგრელო“ (ზუგდიდი), „მაღაროელი“ (ჭიათურა), „ფეიქარი“ (წულუკიძე), „ქართლი“ (გორი), „ისანი“ (თბილისი), „ირისტონი“ (ცხინვალი), „დინამო“ (სოხუმი).

II ზონა: „შუქურა“ (ქობულეთი), „გურია“ (ლანჩხუთი), „ცისკარი“ (ცხაკაია), „მერცხალი“ (მახარაძე), „ლოკომოტივი“ (სამტრედია), ასკ (თბილისი), „ბახმარო“ (ჩოხატაური), „მეშახტე“ (ტყვარჩელი), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „ცისკარა“ (ბათუმი), „კოლმეურნე“ (წალენჯიხა), „დინამო“ (ქუთაისი).

II ქვეჯგუფის 25 გუნდი აგრეთვე დაყოფილია ორ ზონად.

I ზონა: „ჰერეთი“ (ლაგოდეხი), „ბახტრიონი“ (ახმეტა), „ნადიკვარი“ (თელავი), „კოლმეურნე“ (მარნეული), „მეტალურგი“ (რუსთავი), „დურუჯი“ (ყვარელი), „სამცხე“ (აწყური), „კახეთი“ (ველისციხე), ხორცისა და რძის კომბინატი (წალკა), „შირაქი“ (წითელწყარო), „გარეჯი“ (საგარეჯო), „არაგვი“ (დუშეთი), „არაგვი“ (მცხეთა).

II ზონა: „სამგურალი“ (წყალტუბო), „აერო“ (გალი), „სულორი“ (ვანი), „სალხინო“ (გეგეჭკორი), „კოლხიდა“ (ხობი), „ჭიხურა“ (საჩხერე), „მექანიზატორი“ (ფოთი), „საირმე“ (მაიაკოვსკი), „ლაითური“ (მახარაძე), „მშენებელი“ (ჭიათურა), „ცისარტყელა“ (თბილისი), „ზემო ქართლი“ (ხაშური).

გათამაშება I ქვეჯგუფში ჩატარდება წრიული სისტემით ორ წრედ. თავიანთ ზონებში პირველ ოთხ ადგილზე გამოსული გუნდები შეადგენენ ფინალურ ჯგუფს, სადაც თამაშები აგრეთვე ჩატარდება ორ წრედ წინასწარი ეტაპის შეხვედრათა ქულებით გაუთვალისწინებლად. I ადგილზე გასულ გუნდს მიენიჭება საქართველოს ჩემპიონის წოდება. მომდევნო ადგილების გამოსარკვევად დანარჩენი 16 გუნდი ერთმანეთს შორის ითამაშებს ერთ წრედ (IX-XXIV ადგილები).

ბოლო ოთხ ადგილზე გასული გუნდები 1967 წელს გადავლენ II ქვეჯგუფში.

გათამაშება II ქვეჯგუფის ზონებში ჩატარდება ორ წრედ. ზონებში I ადგილებზე გასული გუნდები გაისად გადავლენ I ქვეჯგუფში, ხოლო ბოლო ადგილებზე გამოსულები დატოვებენ ქვეჯგუფს.

რესპუბლიკის დანარჩენი ქალაქებისა და რაიონების გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ზონალურ გათამაშებაში, რომელიც სამ ეტაპად გაიმართება. I ეტაპია საქალაქო და სარაიონო შეჯიბრებები, II ეტაპში ამ ტურნირებში გამარჯვებულნი ერთმანეთს შეხვდებიან ტერიტორიული პრინციპით ორ წრედ, ხოლო ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი შექმნიან ორ ქვეჯგუფს, სადაც თამაშებს ჩაატარებენ ორ წრედ. ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები სამერმისოდ გადავლენ II ქვეჯგუფში.

დებულების თანახმად, რესპუბლიკური პირველობის ყოველ მატჩში გუნდის შემადგენლობაში უნდა მონაწილეობდეს 6 ფეხბურთელი 25 წლის ასაკამდე, რომელთაგან ორის წლოვანება არ უნდა აღემატებოდეს 21-ს.

მაშ ასე, სეზონი ახლოვდება, ბევრ გუნდს კი ჯერ კიდევ არ დაუწყია ხეირიანი მზადება. როგორც ხედავთ, საქართველოში ახლა მშვენიერი ამინდი დგას და იგი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ საიმისოდ, რომ წარმატებით გავართვათ თავი ქართული ფეხბურთის წინაშე მდგარ სერიოზულ ამოცანებს. 1966 წელი საერთო წინსვლის წლად უნდა იქცეს.

**დ. ცომაია,**
რესპუბლიკის მთავარი მწვრთნელი ფეხბურთში, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.



ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე...

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# „ნუთუ ჭადრაკის თამაშის ცოდნა?..“

1837 წლის 27 იანვარს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კავალერგარდის პოლკის ოფიცერმა ჟორჟ დანტესმა დუელში სასიკვდილოდ დაჭრა გენიალური რუსი პოეტი ალექსანდრე სერგის ძე პუშკინი. მხოლოდ ორი დღე იცოცხლა დიდმა რუსმა მგოსანმა.

როგორ მოხდა, ვინ დაუშვა გადმოხვეწილი უცხოელის დუელი პუშკინთან? რა იყო მათი შეტაკების მიზეზები? პოეტის მკვლელობასთან დაკავშირებული ეს და სხვა საკითხები გახდა მეცნიერთა გულდასმითი შესწავლისა და კვლევის საგანი. პუშკინოლოგიამ უარყო გავრცელებული აზრი, თითქოს დუელის მთავარი მიზეზი გახლდათ პუშკინის მეუღლის — ულამაზესი ნატალია გონჩაროვასადმი დანტესის მიჯნურობა. ახლა დამტკიცებულია, რომ დუელის მთავარი მიზეზი იყო ნიკოლოზ I სიძულვილი დიდი პოეტისადმი. მეფეს აშინებდა და აშფოთებდა პუშკინის პატრიოტული, თავისუფლების მქადაგებელი შემოქმედება. პოეტში იგი ხედავდა დაუცხრომელ მეამბოხეს...

დანტესი დაჟინებით ეარშიყებოდა პუშკინის მეუღლეს, რაც პუშკინმაც იცოდა. ნატალია არ თანაუგრძნობდა დანტესს. საზოგადოების თვალის ასახვევად და გამიჯნურებულთან მეტი სიახლოვის მიზნით დანტესმა ცოლად შეირთო ნატალიას და — ეკატერინე. ნიკოლოზ I უჩუმრად მფარველობდა და აქეზებდა დანტესს, ყოველნაირად ამწვავებდა პუშკინთან მის ურთიერთდამოკიდებულებას.

ნატალია ვერაფერს მიხვდა. იგი მიამიტი ქალი აღმოჩნდა. ეს კარგად ჩანს მულისთვის გაგზავნილ წერილში, რომელიც ქმრის დაღუპვის შემდეგ მისწერა. „გეფიცები და გარწმუნებ, ოლღა, რომ პუშკინის წინაშე გონებაშიც კი არ ჩამიდენია ცოდვა. თავს მხოლოდ იმაში ვიდანაშაულებ, რომ არ ვიყავი შორსმჭვრეტელი; გამოუცდელობის გამო ვერაფერს სერიოზულს ვერ ვხედავდი, ამიტომაც ვერ აღვკვეთე მისი მტრების ოინები. სხვა რა დანაშაული მიმიძღვის? ჩემი მომხიბლავი გარეგნობა? ეს ხომ მე ჩემით არ შემიქმნია! კეთილი მოქცევა? დიახ, ამაში დამნაშავეა ჩემი გულღია ხასიათი... დაბოლოს, სასაცილოა ვთქვა, ნუთუ ჭადრაკის თამაშის ცოდნა, რისთვისაც მამაკაცებისგან ქათინაურები მესმოდა? ხომ მოსაწყენია საკუთარ თავთან ჭადრაკის თამაში“.

როგორც ხედავთ, ნატალია წვრილმანებში, მათ შორის მამაკაცებთან ჭადრაკის თამაშში, ეძიებს ამ ტრაგიკული ამბის მიზეზებს.

პუშკინი ჭადრაკის დიდი მოყვარული გახლდათ. ჯერ კიდევ ახალშერთულ მეუღლეს მგოსანმა მისწერა: „გმადლობთ, გეთაყვა, იმისთვის, რომ ჭადრაკს სწავლობ. ეს აუცილებელი საჭიროებაა ყველა კეთილშობილურ ოჯახში...“

პუშკინს შეძენილი ჰქონდა გამოჩენილი რუსი მოჭადრაკის ა. პეტროვის სახელმძღვანელო. პეტროვს თავადაც ახლოს იცნობდა. მისგანაც ჰქონდა ნაჩუქარი სახელმძღვანელო. 1836 წელს პუშკინს გამოუწერია ფრანგული საჭადრაკო ჟურნალი „პალამედი“ (პირველი ჟურნალი ჭადრაკის ისტორიაში), რომლის 3 ნომერი მიუღია კიდეც.

დუელამდე 3 დღით ადრე, როგორც მისი ახლობელნი იგონებენ, პუშკინს ჭადრაკი უთამაშია მეჯლისზე გრაფ მეშჩერიაკოვის ოჯახში მ. ვიელგორსკისთან. თამაშის დროს დარბაზში გამოჩენილა დანტესიც, რასაც აუფორიაქებია მგოსანი და რამდენიმე სუსტი სვლაც გაუკეთებია. კუს (რომელსაც იმ დროს ოფიცერს უწოდებდნენ) აყვანისას პუშკინს ორაზროვნად უთქვამს: „ეს ოფიცერი შამათს მიცხადებს, იგი უნდა ავიყვანო“. მაგრამ, საუბედუროდ, ცხოვრებაში პირიქით მოხდა.

**თ. გიორგაძე.**

# ფინალის 4 საგზურისთვის

**გორი,** 12 თებერვალი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). აქ დამთავრდა საქართველოს წლევანდელი საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 44 სპორტსმენი მონაწილეობდა. პირველი 12 ადგილი, რომლებიც ნახევარფინალში თამაშის უფლებას იძლეოდა, დაიკავეს: შ. ურიდიამ (გუდაუთა), ნ. შოგირაძემ (ზუგდიდი), გ. შარმიაშვილმა (ლაგოდეხი), რ. ჰყონიამ (მახარაძე), რ. მიქაუტაძემ, ა. გვენცაძემ (ორივენი — ამბროლაური), ვ. თოხაძემ (ლანჩხუთი), ა. ჩხაიძემ (თეთრი წყარო), გ. ცაგოიანმა (ბათუმი), ა. ყურაშვილმა (აბაშა), ა. რაზოვსკიმ (ქუთაისი) და გ. მუკნიაშვილმა (გორი).

ასპარეზობამ გაგვაცნო ნიჭიერი ახალგაზრდები (წითელწყაროელი გ. მეხრიშვილი, აბაშელი ა. ყურაშვილი და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ვერც ერთი თბილისელი მოჭადრაკე ვერ გავიდა ფინალში.

დღეს დაიწყება ბრძოლა ნახევარფინალში. ასპარეზობა ჩატარდება წრიული სისტემით. პირველ ოთხ ადგილზე გასულნი ფინალში დაიშვებიან.

**ა. გლაგიძე,**
სპორტის ოსტატი, ნახევარფინალის მთავარი მსაჯი.

# მხრიდან

„ავსტრიის უძლიერესმა მოთხილამურე კარლ შრანცმა, — წერს გაზეთი, — შეჯიბრების დაწყებამდე ერთი დღით ადრე დემონსტრაციულად დასტოვა კორტინა დ'ამპეცო და შინ გაემგზავრა. შრანცი ავსტრიის გუნდის 10 და შვეიცარიის ნაკრების 5 მოთხილამურის „აჯანყების“ მეთაური იყო. უკმაყოფილების საბაბი გახლდათ ორგანიზატორთა მიერ სწრაფდაშვების ცუდად მომზადებული საშიში ტრასა — „ტოფანი“.

კორტინა დ'ამპეცოში ვარჯიშისას შრანცმა კინაღამ კისერი მოიტეხა, როცა თხილამური გამოსდო თოვლში ამოჩრილ ქვას. ვარჯიშის სხვა მონაწილეებიც სერიოზულად დაშავდნენ. „ტრასა სავსებით უვარგის მდგომარეობაშია, — განაცხადა შრანცმა. — ჩვენ სასიკვდილოდ განწირული როდი ვართ, ქვებზე რომ ვიქროლოთ გიჟური სისწრაფით“.

შრანცს კვერს უკრავს სხვა გამოცდილი ავსტრიელი სამთო-მოთხილამურე ეგონ ციმერმანი:

„მე ორჯერ გავიარე ეს ტრასა და მოხარული ვარ, ფეხები რომ არ დავიმტვრიე. ყველგან ამოშვერილია რიყის ქვები, ზოგან მიწაც კი ჩანს. არავის სურს უაზროდ გარისკოს მსოფლიოს ჩემპიონატის წინ. ჩვენ არ გამოველთ მსგავს შეჯიბრებაში“.

ბოლოს ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამთო-მოთხილამურეთა აჯანყებას წარმატება ხვდა წილად. შეჯიბრების ორგანიზატორები იძულებული იყვნენ გაეუქმებინათ შეჯიბრება სწრაფდაშვებაში. მათ პროგრამაში დატოვეს ასპარეზობა სლალომსა და სლალომ-გიგანტში.

## გოლფის ბურთები და საკადრისი პასუხი რასისტებს

დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „შპიგელმა“ ამ დღეებში გამოაქვეყნა წერილი არც თუ ისე ჩვეულებრივი სათაურით: „კაცზე — ბურთი“. ეს ბურჟუაზიული ორგანოც კი დასცინის ინგლისის მთავრობის ე. წ. „ეკონომიურ სანქციებს“ სამხრეთ როდეზიის რასისტების მიმართ. ჟურნალი წერს, რომ იმ საგნების რიცხვში, რომელთაც ინგლისის ხელისუფლებმა ემბარგო დაადეს, არის „ეკონომიკისთვის ისეთი უაღრესად საჭირო“ ნივთები, როგორიცაა გოლფის ბურთები, რომლებიც ადრე ინგლისიდან შემოჰქონდათ. ახლა, გოლფის მოყვარული საწყალი რასისტები იძულებული არიან დაკმაყოფილდნენ ჩამოჭრილი ნორმით — კაცზე — ბურთით.

სულ სხვაგვარად იქცევიან ე. წ. სმიტის მთავრობის მიმართ ბრიტანეთის თანამეგობრობაში შემავალი სხვა ქვეყნები. ისინი საკადრის პასუხს აძლევენ რასისტებს ყველა დარგში, მათ შორის სპორტშიც.

მომავალ ზაფხულს იამაიკაში უნდა ჩატარდეს ტრადიციული ბრიტანული თამაშები, რომლებშიც მონაწილეობს თანამეგობრობის ყველა ქვეყანა. რასაკვირველია, სამხრეთროდეზიულმა რასისტებმა იჩქარეს განეცხადებინათ, რომ ისინი თამაშებში აგზავნიან „თეთრების ძლიერ გუნდს“.

როგორც კი ეს ცნობილი გახდა, იამაიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა კინგსტონში განაცხადა, რომ სმიტის მთავრობის პასპორტის მქონე ვერც ერთი როდეზიელი სპორტსმენი ვერ მიიღებს იამაიკის თამაშებზე ჩასვლის უფლებას. „იამაიკა არ ცნობს სმიტის მთავრობას და ოფიციალურად არ მიიჩნევს მის მიერ გაცემულ საბუთებს“, — ხაზგასმით აღნიშნა იამაიკის ხელისუფლების წარმომადგენელმა.



# ორი გოგონა

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ნორჩ მოცურავეებს — თბილისის 114-ე სკოლის მეშვიდეკლასელ მანანა ქაჯაიას (მარცხნივ) და მე-18 სკოლის მეხუთეკლასელ თინა ლეკვეიშვილს. გოგონებს თავდავიწყებით უყვართ ცურვა და სწორედ ამიტომ ძალიან მოკლე ხანში კარგი შედეგებიც მოიპოვეს. თბილისში ამას წინათ გამართულ შეჯიბრებაში, რომელშიც რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენები გამოდიოდნენ, მანანამ და თინამ II ადგილები დაიკავეს. მანანას 1 წამი დააკლდა მოზრდილთა I თანრიგამდე დელფინის სტილით ცურვაში, ხოლო თინა 50 მეტრზე ზურგზე ცურვაში სულ რაღაც 0,3 წამით ჩამორჩა გამარჯვებულს — სპორტის ოსტატ ნ. ჭუმბაძეს. გოგონას დროა 36,6 წამი.

არ დაგავიწყდეთ: მანანა ქაჯაია 2 წელია მეცადინეობს ცურვაში, ხოლო თინა ლეკვეიშვილი — 1.

ფოტო ა. სააკოვისა.

# 32-ე მონაწილე!

ბერნი, 11 თებერვალი. საფეხბურთო წრეებში საყოველთაო გაოცება გამოიწვია ევროპის I ჩემპიონატში იტალიელთა არყოფნამ. მაგრამ განაცხადების ვადის გასვლის მეორე დღეს ყველაფერი ნათელი შეიქნა: იტალიელებს „უმტრო"... ფოსტამ, რომელმაც ვერ შეძლო განაცხადის დროზე გაგზავნა. ასე რომ, I ჩემპიონატის სტარტს აიღებს 32 გუნდი.

ფეხბურთის ევროპული ასოციაციის წევრთაგან მხოლოდ ისლანდიის ნაკრები არ გამოვა ჩემპიონატში.

◆ ტრონჰეიმი, 12 თებერვალი. დღეს აქ დაიწყო მოციგურე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. 500 მეტრზე რბენაში სამივე საპრიზო ადგილი დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა: ი. ეგოროვამ (46,9 წამი), ლ. ტიტოვამ (47,4) და ვ. სტენინამ (47,7). 1500 მეტრზე რბენა მოიგო სონ სუნ-კიმმა (კსდრ) — 2.29,4. 2 დისტანციის შემდეგ იგი ლიდერი გახდა — 97,700 ქულა. ეგოროვა და სტენინა II და III ადგილებზე არიან.

● ტალინი, 11 თებერვალი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის ახალგაზრდა მოფარიკავეთა ჩემპიონატი. საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდნენ რსფსრ-ს სპორტსმენები. II ადგილზე არიან მოსკოვის წარმომადგენლები, ხოლო მესამეზე — საქართველოს მოფარიკავეები.

● კიევი, 11 თებერვალი. სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირში გაიმართა ვაჟთა მეოთხედფინალური მატჩები. ლეიუსმა სძლია კაპლანს 6:1, 6:3, 6:1, ივანოვმა — პარმასს — 7:5, 6:1, 6:2, ვიაჩესლავ ეგოროვმა — ლიხაჩოვს — 6:3, 6:4, 3:6, 10:8. მეტრეველმა დაამარცხა სივოხინი.

● სიდნეი, 11 თებერვალი. ახალი სამხრეთ უელსის შტატის ჩემპიონატში ავსტრალიელმა მოცურავეებმა მაღალი შედეგები აჩვენეს. 17 წლის კეტი უეინრაიტმა 400 მეტრი თავისუფალი სტილით გაცურა 4 წუთსა და 44 წამში და მოხსნა ავსტრალიის რეკორდი, რომელიც 6 წლის წინათ დაამყარა მისმა სახელგანთქმულმა თანამემამულემ, მსოფლიოს რეკორდსმენმა ილზა კონრადსმა. ქვეყნის რეკორდი დაამყარა აგრეთვე პიტ რეინოლდსმა: 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მან აჩვენა 4:56,3.

● რომი, 11 თებერვალი. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა თავისი ნაკრების მომზადების გეგმა ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატისთვის. იტალიის ეროვნული გუნდი შეხვდება: 19 მარტს პარიზში საფრანგეთის ნაკრებს, 14 ივნისს ბოლონიაში ბულგარეთის ნაკრებს, 18 ივნისს მილანში ავსტრიის ნაკრებს, 22 ივნისს ტურინში არგენტინელებს და 29 ივნისს ფლორენციაში მექსიკის გუნდს.

# შორს ჭვრეტენ

## დიდი ტურნირი მეხიკოში

გაისად ივნისს მეხიკოში გაიმართება ფეხბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 4 ნაკრები გუნდი მიიღებს მონაწილეობას. მასპინძელთა გარდა აქ ითამაშებენ ბრაზილიელები, ესპანელები და იტალიელები.

ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდება და მექსიკელ მიმომხილველთა აზრით, დიდად შეუწყობს ხელს ადგილობრივ ფეხბურთელებს უკეთ მოემზადონ მსოფლიოს IX ჩემპიონატისთვის, რომლის მასპინძლები მექსიკელები იქნებიან.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# ჰეტებორგი ელის მოციგურეებს

— როგორ მიმდინარეობს ციგურებით სწრაფრბენაში მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება? — ასეთი კითხვით მიმართა ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის დირექტორს ჰოკანსონს.

— ჩვენ განაცხადები მივიღეთ, — უპასუხა დირექტორმა, — კანადიდან, ინგლისიდან, ფინეთიდან, ჰოლანდიიდან, იტალიიდან, იაპონიიდან, საფრანგეთიდან, ჩინეთიდან, ნორვეგიიდან, სსრ კავშირიდან, შვეციიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ავსტრიიდან, გფრ-დან, გდრ-დან — სულ 15 ქვეყნიდან. მოსალოდნელია განაცხადების მიღება ბელგიიდან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან.

უნდა ითქვას, რომ ინგლისმა სათუო გახადა ჩემპიონატში მონაწილეობა. ვინაიდან ავად გახდა საუკეთესო ინგლისელი მოციგურე ტ. მალკინი.

საორგანიზაციო კომიტეტმა არსებითად უკვე დაამთავრა ძირითადი მოსამზადებელი სამუშაო. შედგა ფუნქციონერთა შტაბი და სხვადასხვა კომისია. განაწილებულია ადგილები სასტუმროებში, მზადდება შენობები ეროვნული გუნდებისთვის და სხვ.

ხალხი დიდ ინტერესს იჩენს ჩემპიონატისადმი. 2 თებერვლისთვის გაიყიდა 36 ათასი ბილეთი, ხოლო სალაროში არის ბილეთებზე სხვადასხვა ქვეყნის განაცხადების დიდი შეკვრა.

იმედი გვაქვს, რომ ყინული სწრაფი იქნება და „ულევიზე" დაიბადება ახალი რეკორდები.

ა. იაკოვლევი.

სტოკჰოლმი.



▲ ლონდონი. აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თანხმობა მისცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელებს ვიზების გაცემაზე. გაზეთები მიესალმებიან საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას, მით უმეტეს, რომ დიდ ბრიტანეთსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს.

▲ ნიუ-იორკი. ტოკიოს ოლიმპიადის ოქროს მედლის მფლობელმა 5 კილომეტრზე რბენაში ამერიკელმა რ. შიულმა განაცხადა, რომ იცვლის სპორტულ ამპლუას. მან დაიწყო წინაღობებით 3000 მეტრზე რბენაში ვარჯიში და მეხიკოში ამ დისტანციაზე აპირებს ოქროს მედლისთვის ბრძოლას.

# ძნელია ჩემპიონობა

ფინეთის შორეულ ჩრდილოეთში, ცივი მდინარე ტორნიოს ნაპირზე, რომელიც ზედ შვეციის საზღვარზეა, არის პატარა დაბა პელო (აქ სულ 2000 კაცი ცხოვრობს). გარშემო ტყით დაფარული პირქუში გორაკებია... პატარაა პელო, მაგრამ მას მთელი ქვეყანა იცნობს. პელო ხომ ფინელების კერპის, ინსბრუკის „თეთრი ოლიმპიადის" გმირის, სახელგანთქმული მოთხილამურე ეერო მიანტიურანტას სამშობლოა. მსოფლიო ჩემპიონატის წინ საკდესის ჰელსინკელმა კორესპონდენტებმა გადაწყვიტეს ოლიმპიურ ჩემპიონთან დაკავშირება. თავაზიანმა ტელეფონისტმა ქალმა საკმაოდ სწრაფად მოძებნა მიანტიურანტა.

— როგორი ამინდია პელოში?

— ცივა. თერმომეტრი თითქმის 30 გრადუსს აჩვენებს. მზიანი, უღრუბლო ამინდია. ძლიერი ყინვები სერიოზულ წვრთნაში ხელს მიშლის: ასეთ საშინელ სიცივეში ძნელია თხილამურებით სიარული. თანაც ჩვენთან ახლა პატარა თოვლია.

მიანტიურანტა დაიბადა პელოში 1937 წლის ბოლოს. მან აქ მთელი თავისი ცხოვრება გაატარა. იგი უკვე 8 წელია საბაჟოს თანამშრომლად მუშაობს. ამბობენ, რომ მას სხვა სამსახურში სურს გადასვლა. მიანტიურანტა ადასტურებს ამ ხმებს.

— ამჟამად ვაკანტურია პელოს კომუნის ახალგაზრდული ხელმძღვანელის ადგილი და მეც განცხადება მივეც. ახლა უნდა დაველოდო: ამირჩევენ თუ არა? — ამბობს ეერო.

— კიდევ რამდენ ხანს აპირებთ შეჯიბრებებში გამოსვლას?

— ბევრჯერ მიფიქრია თავი დამენებებინა დიდ სპორტს, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა ერთობ ძნელია მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებებში მონაწილეობა მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს.

ეერო ცოლიანია. მას დიდი ოჯახი ჰყავს. უფროსი გოგონა 6 წლისაა, ბიჭი — 4 წლისა. შარშან ნოემბერს მოთხილამურის ოჯახში მართლაც დიდი ამბავი მოხდა: გაჩნდნენ ტყუპები.

უფროსი ბავშვები აზარტული ინტერესით ადევნებენ თვალყურს მამის მონაწილეობას შეჯიბრებებში.

— როგორ უყურებს მეუღლე თქვენს მრავალრიცხოვან მოგზაურობას? ხომ არ უშლის სპორტი ოჯახურ ცხოვრებას?

— ცხადია, უშლის. შეჯიბრებაზე ყოველი გამგზავრება ძალიან ბევრ დროს მართმევს, ეს კი ამცირებს ოჯახურ კერაში გატარებულ ისედაც პატარა დროს. ყველა მიხვდება, თუ რაოდენ მოსაწყენია ცოლისთვის 4 ბავშვთან ერთად შინ ჯდომა. თანაც არავითარ განსაკუთრებულ სიხარულს არ მგვრის მუდამ ხალხის თვალთახედვაში ყოფნა. მაგრამ რას იზამ! ასეთი ყოფილა ყველა ცნობილი სპორტსმენის ხვედრი და მას უნდა შეეგუო.

— როგორ უთავსებთ ერთმანეთს სამსახურსა და წვრთნას?

— საბაჟოს მუშაკები მონაცვლეობით საქმიანობენ. ასე რომ, ვარჯიშის პროგრამა საბაჟოს რეჟიმთან უნდა იყოს შეთანხმებული, სათხილამუროზე ხან დღისით გამოვდივარ, შემდეგ კვირაში დილაადრიანად, ან საღამოთი მუშაობის შემდეგ მიწევს ვარჯიში.

— როგორ ემზადებით ჰოლმენკოლენის მსოფლიო ჩემპიონატისთვის?

— არ ვიტყოდი, რომ ჩემი წვრთნის მიზნად მაინცდამაინც ეს დიდი შეჯიბრება ყოფილიყოს ჩემი მიზანი ყოველ ასპარეზობაში საუკეთესო შედეგების მოპოვებაა თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სეზონში ადრინდელზე მეტს ვვარჯიშობდი, მაგრამ რატომღაც სასურველ შედეგებს ვერა და ვერ მივაღწიე: ჩემს სირბილში აღარ არის ძველებური სიმსუბუქე და ძალა.

— ვინ მიგაჩნიათ ყველაზე სახიფათო მეტოქედ მომავალ ჩემპიონატში?

— სახიფათო მეტოქე ბევრია. ნორვეგიელი გრონინგენი, ჩემი თანამემამულეები ტიაინენი და ლაურილა და სხვები.

— რას იტყოდით საბჭოთა მოთხილამურეებზე?

— საბჭოთა კავშირში არ ვყოფილვარ (სიამოვნებით კი გამოვიდოდი, თუ ეს შესაძლებელი იქნება). ამიტომ საბჭოთა სათხილამურო სპორტის დონეზე ვერაფერს ვიტყვი. გაზეთებში გამოქვეყნებული ტექნიკური შედეგების მიხედვით არ შეიძლება სერიოზული დასკვნების გაკეთება. მაგრამ მიმაჩნია, რომ საბჭოთა მოთხილამურეები შედიან მსოფლიოს სათხილამურო სპორტის ავანგარდში. მათგან ბევრია მოსალოდნელი.

დ. ერშოვი,
ვ. კიიპო.

ჰელსინკი.

მძლეოსნობა. „დინამოს" სტადიონი. 13 თებერვალი. რესპუბლიკური პირველობა სპორტსაზოგადოებათა ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის (1946-47 წ.წ. დაბად.). დასაწყისი 11 ს.

კლასიკური ჭიდაობა. „განთიადის" სპორტდარბაზი (სულხან-საბას ქ. № 13). 13 თებერვალი. „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა. დასაწყისი 12 ს.

მოტორბოლა. დიღმის მიდამოები. 13 თებერვალი. თბილისის პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 13 ს.

19 თებერვალს

თბილისის სპორტკავშირის შენობაში (კონსტიტუციის ქ. № 6) შედგება ფიზკულტურის კოლექტივების ფეხბურთის გუნდების მწვრთნელების, წარმომადგენლების, კაპიტნებისა და მსაჯთა აქტივის სხდომა.

ზემოხსენებულ პირთა დასწრება სავალდებულოა.

დასაწყისი 17 საათზე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო — 8-95-80, სპორტული განყოფილება — 8-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომშვები — 8-93-81.

ИНДЕКС 66118

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04850